

კვირა, 29 მარტი 1915 წ.

ფასი 5 კაპ.

მეფი



მათრასი

იუმორისტ. ჟურნალი

№ 8

გამომცემი: ყოველ-კვირულად. მასალები გამოგზავნება ამ აღრუ-
ნით: თიფლისი. ტიპოგრაფია შრომა, თეოფილ ბოლკვაძე

1236



სიყვარულის მსხვერპლი.

მეთაური

ცეცხლის ალი, მარად სისხლი, მსხვერპლი მსხვერპლზედ ემატება, შვების სხივი მოელვარე ცის წილში თითქოს ჰქრება.

სტირის სატრფო უიშვლო, სტირის მიჯნურს, ცრემლად დნება, ყვავე-ყორანი თავს დაგვიხავის არსაით ხსნა, არსით შვება.

ღმერთო, ღმერთო, კმარა მსხვერპლი, ესდენ ცრემლი, სისხლის ღვარი, ნუ თუ ჩაჰქრეს საიშვლო, ანთებული კელაპტარი?!

მაგრამ არა, ძლიერია ხალხის მცნება, მისი სული, მაგარია ვათ ქვა, კაჟი და მდგრათ სცემს მისი გული.

განთიადის სხივი მარად განათებს მაშვრალთ კერას და ჩაგრულთა მძლავრი რაზმი შვების ხმაზედ იწყებს მღერას.

გოგია.

სადაა იღბალი!

ასე დილის ათი საათი იქნებოდა, რომ თავადმა ივანემ გამოიღვიძა. ზანტათ წამოდგა და ფეხმორთხმული წამოჯდა ლოგინზე. რამდენიმეჯერ გაიზმორა, უღვაშებზე ხელი გადისა და ღრმით ჩაფიქრდა. გაიტაცა ფიქრებმა, გაახსენდა მთელი კვირის ქვიფობა, ღროს გატარება, რომელიც მოუხდა თავის ახალ ჩამოსულ მეგობართან. თავის ამ ქვიფობის გახსენებაზე ნერწყვი მოადგა და სურვილით გატაცებულმა კბილების კრიპინი დაიწყო.

— კი, მართალია, წუხელის კარგი ღრო გავატარე, მაგრამ დღეს სადაა წვიმდებ?! — სასოწარკვეთილებით წაილაპარაკა მან: — დღეს მაინც დარჩენილიყო, მაგრამ, რაც ღროს გატარება დამაკლდა, ამ კვირაში შვეის-რულემდღა.

ამ სიტყვების შემდეგ მან საცოდავთ გაიხედ-გამოიხედა, ახალუსს ხელი მოკიდა და ჯიბეში რაღაცას ძებნა დაიწყო. ამოიღო პაპიროსის კოლოფი, გასინჯა, ცალიერი იყო. ამან მთლათ დააღონა. ცხროლა კო-

ლოფი, რაც ძალი და ღონე ჰქონდა და თავ-ჩაქინდრული დაჯდა... დიდს ხანს იყო ასე გაჩუმებული და გულში უტრიალებდა თქმულება: „არც მაქვს ფული, არცა ნდობა, არა კაცი არ მენდობა“.

— ჰო, მართლა! — სიხარულით წამოიძახა: — პეტრემ არ თქვა — დღეს-თვის სტუმრები მომივიაო. მოდი, ამ დილიანათ წავალ იქ, ვითამ და წავიფსარი. თუ ჩემდა იღბლათ მოთამაშები დამხვდა, ვითამაშებ, თავს შევიტყვე. შემდეგ ამას სადღი მოყობა და ღროს გავატარებ... ამფერ, ივანე, ამფერ. ძან გონიერი ბიჭიკი ვარ, რა უტებ გავისხენე. — შმა მალლა წამოიძახა მან. — არა მეტი რა შემჩნება ამ გაოხრებულ წუთი სოფელში! — დაამატა ცოტა ხნის შემდეგ...

ამ მუსაიფში იყო ივანე გართული, რომ ახლად შემოსულმა მსახურმა გოგამ წერილი მიაწოდა:

— წერილია, ბატონო, საიდანაც ვილაცა ბიქმა მოიტანა. — მოახსენა მსახურმა და თან ცნობისმოყვარეობით შეაჩერდა ივანეს.

— საიდანაა, ბიჭო?! მიაგება სიტყვა ივანემ და თან უტებ გამოართვა წერილი. წერილის კითხვის ღროს პირზე ღიმი მოსდიოდა. სიამოვნებისაგან ბეჭების ცმაკური დაიწყო. წერილი რამდენიმეჯერ გადკითხა და განსაკუთრებით ყურადღება მიაქცია იმ ალაგს, სადაც მომსხო ასობით ეწერა: „ძმაო ივანე! აბა შენ იცი, რა მალე მოხვალ. აქ ერთი მონარდე კაცი ჩამოვიდა, ფული ზორბათ აქვს, უშენოთ თამაში ვერ გავებდეთ, ეთამაშე, თუ ფული არა გაქვს, ჩვენ მოგცემთ. აბა, შენ იცი თუ არ დავაკარგვიებ ლუკმას“.

— აა, ეგ კარგი საქმეა! — თავის ქნევით წამოიძახა ივანემ და საჩქაროთ წამოიდა.

— აბა, მიშველე, გოგია, მალე გამიწმიდე ფეხსაცმელი და შენი პატრისცემა მე ვიცი. ხვეწნით უთხრა ივანემ მსახურს, რომელიც ხანა დანებებული მისჩერებოდა ბატონს... ივანეს აღფრთოვანების გამო მასაც პირზე ღიმი მოსდიოდა. თუმცა საქმის ვითარება არც კი იცოდა. ბატონის სიტყვებმა იგი გამოარკვია. უნდოდა ეკითხა ამბავი, მაგრამ ივანეს ხელმეორეთ ბრძანების კილომ სურვილი გულში ჩაუკლა.

— კი, ბატონო, მაგის დარდი ნუ

ეხლა რომ ვხვდებით ერთმანეთს, „ზრასტის“ თუ ეტყვი თქვენ ნაცნობსა, თორემ გამარჯვება როგორ უნდა უსურვოთ? ათას ნაირად იცვალა ცხოვრება. უწინ რომ „გამარჯვებას“ ეუბნებოდი მეზობელს, მტერზე გამარჯვება იგულისხმებოდა, მეზობლის გამარჯვება შენი გამარჯვება იყო, ეხლა კი... წარმოიდგინე, შენ მეზობელს გამარჯვებას უსურვებ და იმას კი სასამართლოში შენზე საჩივარი აქვს შეტანილი და ორი ქცევა ადვოლი, სახლ-კარი და ვენახი უნდა წავართვას. მოდი და გამარჯვება უსურვე.

ან არა და გამარჯვება უსურვე შანს მეზობელს, რომელიც დღე სულ იმას ფიქრობს და ღამე სული ესიზმრება ისე მოაწყოს საქმე, რომ შენი კარ-მიდამო ხელიდან გამოგაცალოს...

ან კიდევ გამარჯვება უსურვე მეზობელს, რომელიც თურმე შენ ცოლს ეკურკურება და სულ იმის ცდაში და ფიქრშია, როგორ მოვახერხო, რომ ლეჩაქთან ერთათ ნამუსი ავხადოვო.

არა, ისევ, ისა სჯობია, „გამარჯობას“ თავი დაეანებოთ და „გამარჯობა-მშვიდობით“ — ის მაგიერად „ზღრასტი“ და „პრაშჩა“ შემოვიღოთ...

* *

ირგვლივ გლოვა. ცრემლთა დენა, შავი ძაძა, ბნელი რიდე, ჯოჯოხეთად გადაიქცა ზღვა, ხმელეთი, კიდი-კიდე.

სიხლის სუნი ზეცას ერთვის, ტანჯვას არ აქვს დასასრული, იმუსერება კაცთ-სამყარო, დაითრგუნა სიყვარული.

გაქვსო.—წამოიძახა და დასტაცა წაღებს ხელი, რომ ბატონის ბრძანება ჩქარა აესრულებია. ივანეს გოგიას სიტყვები არც კი გაუგონია, ისე გატაცებული იყო ფიქრებში: წარმოიდგინა, ვითამ ნარდს ეთამაშება იმ უცხო ვინმეს. აჰ, მოიგო ოც მანთამდე, აჰა, „დალუც“ უთხრა ივანემ, მოპირდაპირე კი ყოყმანობს, მაგრამ მაინც გაყვა, აჰა, საქმე უკუღმა დატრიალდა. მოპირდაპირე „დაუბასეს“ ეუბნება, ივანეც ყოყმანობს, მაგრამ, როგორც მოთამაშე, „რისკზე“ მიყობა. იგებს კიდევ ივანე და „დაუბაჩარს“ ეუბნება. ამ ფიქრებში იყო ივანე და რაც შეიძლებოდა, ჩქარობდა კიდევ. ოცნებაში ჩაფლულ ივანეს შარვალი უკუღმა ჩაეცვა და ისიც დავიწყებოდა, რომ წინდების ამბარა იყო, შემოირტყა ქამარი, პირის დაბანა ვიღას ახსოვდა, ისეთი დიდი საქმისვის ემხადებოდა კაცი, დაიხურა ქული და უნდა გადგომოდა გზას, რომ გოგიაც შემოვიდა გაწმენილი ფეხსაცმელებით; გაკვირვებით მიაჩერდა ივანეს, მიმავალი რომ დაინახა.

როგორ, ბატონო, ფეხშიშველა მიბანდებით?! შეეკითხა გოგია.

ივანემ ვითომ და შეუშინველათ დაიხედა ფეხებზე და რომ სირცხვილი აეცილებია: „მე ვიფიქრე, დერეფანში დავხედდები და ჩევიცვამ მეთქიო“. უთხრა. შემდეგ იგი უცებ მოტრიალდა დასაჯდომათ და გამოართვა ფეხსაცმელი.

— ეგ რა ამბავია, ბატონო, შარვალი რომ უკუღმა გაცვია?! უფრო გაკვირვებით ჰკითხა გოგიამ ბატონს.

ივანემ დახედა შარვალს და გაწითლდა, არ იცოდა, რა ეთქვა...

— გაგაძრობ, ბატონო, და წაღმა ჩაიცივი.—დაუმატა გოგიამ და თან შეჩერდა.

— არა, ჩემო გოგია, დღეს ისეთ ალაგას მივდივარ, რომ დილიდან საღამომდე ჯდომა შემხვდება და რომ შარვალი არ გაიქვქვოს, იმიტომ უკუღმა ჩაიცივი,—მიუგო ივანემ. გული კი სიბრაზით ევსებოდა, ასეთი სისულელე რომ დაემართა. გოგიას უნდოდა ეთქვა: თუ ასე იყო, ძველი შარვალი ჩაგეცვაო; მაგრამ ივანეს სიტყვებმა ჩააწყვეტირა ხმა:

— არა, როდესაც შეჩქარება, მა-

შინ რომ გაუწყრება ღმერთი.—წამოიძახა ფეხის ჩაცმაზე გაბრაზებულმა ივანემ და თან შაგრაით დაარტყა ფეხი იატაკს. ფეხი მაინც არ ჩავიდა წალაში: ივანემ განიზრახა ზეთა პირის გაჭრა, ამ მიზნით დანის მოტანა კიდევ შეუყვება მსახურს, მაგრამ წაღებისავე საბედნიეროთ ფეხი კიდევ ჩავიდა. ყოველივე მზათ იყო. მხოლოდ პირის დაბანა აკლდა, მაგრამ როდესაც გოგიამ გაახსენა, ივანემ უარი უთხრა და ნაფურთხით დასველებული ცხვირსახოცით დაიწყო თვალების წმენდა და ისე გაუდგა გზას. რაც შეიძლება ჩქარა ნაბიჯით მიდის თავადი ივანე დანიშნულ ალაგას. მიუხაზლოვდა, აჰა, უნდა შეუხვიოს კიდევ, რომ უცებ თვალი მოჰკრა პეტრეს.

მოდით ერთი მაგასაც გამოველაპარაკები. ვაიფიქრა ივანემ: ეგებ მალე მოვრჩე ჩემს საქმეს, მაშინ მაგისკენაც ჩამოვივლი. ამ აზრით იგი კიდევ შეჩერდა.

დაუხაზლოვდენ ერთმანეთს.

დილა მშვიდობის, კნიაზ პეტრე! როგორ მშვიდობით: ბრძანდები?... სამაგალითოთ მოვწყინდი, თქვენ ნუ მომიკვდებით. მიესალმა ივანე პეტრეს, —ბატარა საქმე მაქვს, მერე კი თქვენსკენ გამოვივლი, ცოტა წაიწარდით,—დაუმატა და თან გაფაცოცებით ჩააცქერდა თვალებში, რომ პეტრეს სულის კვეთება ამოეკითხა...

— მეც ძან მომწყინდა, თქვენ ნუ მომიკვდებით, და ამიტომ გადაწყვეტილი მქონდა დღეს სტუმრები დამებატყვებია, ცოტას წაიქვიფებდით მეთქი, მაგრამ ერთი უბედურება დამემართა: ჩემს ქვისლს რძალი მოუყვდა და იმის გასასვენებლათ მივდივართ სოფელში.

— უკაცრავათ, მშვიდობით, მშვიდობით.—გულ-ნატყენათ წაილაპარაკა ივანემ და გაშორდა პეტრეს.

* *

— სად არის ის კაცი, მიჩვენეთ. —ქნებით მიძახა ივანემ თავის მეგობრებს მისვლისათნავე.

— სად არის და ჯანაბას მისი თავი და ტანი, არ მოიცადა. მაინც რა, შე მამა ცხონებულო, რომ აღარ მოგიყვანა ღმერთმა, რა დაგეძარა?! —

— მოწყენილათ მიუგო ერთმა მათგანმა. სხვები კი ნერწყვ-გამშრალი, გაფთხრებული სახით ერთმანეთს მისჩერებოდნენ

— წავიდა?! — შეშინებულივით წამოიძახა ივანემ: —არ დავიღუპე კაცი? იქაც დავკარგე და აქაც... ფუ! ჩემს იბბალს, ძაღლი მიაკვდა კი-ჩერში... — სთქვა და ჩაღდა მეგობართა მწყროვში და მათთან ერთათ სწუხდა ამ სამგლოვიარო ამბავს.

აჰა, დღეს სად წავიდეთ საქეფოთ?! წამოიძახა ერთმა.

— მართლა, სად წავიდეთ? დაუმატა მეორემ. ამის შემდეგ ყველა ამ საკითხის გადაწყვეტას შეუდგა. ივანე კი... „სადაა იბბალიო“, წამოიძახებდა ხან და ხან გულ დაწყვეტილათ.

სერგო.

სულის განხლანი

(გუშინ და ქვლა)

შაგ-ფიქრებით გულ გამსქვალულს, უიმედოს, სასო-მობილის არაა მშადა და ველოდი მომავალში მხოლოდ სიკვდილს...

უცებ ქარმა დაუბერა, — ამობრწყინდა მზე დიადი; გულს ნაღველი ჩამოშორდა, გაჭრა ბნელი და წყვლიადი.

მოცქრიალე მზის სხივებში დაინახე შენი სახე;

კვლავ იმედი დამიბრუნდა

და შორს ვაგდე სივარდსაზე.

გავსალკლდევი და ჩავები იმ საერთო მეც ფერხულში; სიკაცლისა ნაპერწყალი მიღვიოდა მაშინ გულში.

გული კრთოდა სიხარულით, შეგბას გრძობდა და ბორგავდა; განთიადი აღდგომისა

შორით ნელ-ნელ მოგოგავდა...

მაგრამ უცებ მოიღრუბლა, მოეფარა მზეი ნოასა

და გაეკრა შავი ზოლი

ლაჟვარდოვან შეგბის ცასა.

უცებ გაჭრა და ღრუბელში

დაიმაღლა შენი სახე

და დამკვიდრდა კვლავ ამ ქვეყნად

სიმწუხარე-სივარდსაზე.

კვლავ ფიქრები უიმედო, კაეშანი და ნადველი, კვლავ სიბნელე-სიწყვდიადე და სიჩუმე გულის მწველი...

დღეს სხვა რიგით შეიცვალა მაშინდელი გამოცანა; სისხლის ზღვაში ინათლება არე-მარე, მთლად ქვეყანა.

და შემდეგში რა იქნება, რას გვიმზადებს მომავალი? - მთის გადაღმით ზევით იწვევს და ღვივდება ნაპერწკალი

მზემ მთის წვერით ამოწვევრა, ქრება, ქრება ეს წყვდიადი; შორით ნელ-ნელ კვლავ მოვოგავს შენი სახე განთიადი.

ბერი-ქედანი.



ძველი ამბები

ჩემმა მეგობარმა მიაშპო ორი ამბავი. ამბავი პირველი.

ორმოცი წლის წინათ ჩვენ ერთი ბოქაული გვყავდა. განთქმული მექრთამე იყო და ძლიერ მოხერხებული და სიტყვა-მოსწრებული. ბევრჯელ უჩივლეს მექრთამეობისათვის, მაგრამ არ იქნა, ვერ დასძრეს ადგილიდან. ხალხი გაოცებული იყო. რამდენი პატიოსანი, სამართლიანი და კეთილი გუბერნატორი გამოიკვალა ამ ბოქაულის დროს, ვინ მოსთვლის...

— გამდიდრდა ბოქაული. იმდენ ქანქარი შეიძინა, რომ გადასწყვიტა, დრო არის ეხლა ერთი კარგი სასახლე ავაგო და მოვიცვენოვო. დაიწყო მშვენიერი სახლის აგება. აბა რას დაინანებდა ქრთამებით მოქუჩებულ ქანქარს? ძლიერ მალე ააგო მშვენიერი ორ-სართულიანი სახლი, სახურავი-ღა აკლდა...

ეხლა კი დარწმუნდა გუბერნატორი, რომ ბოქაული მართლა მოქრთამე ყოფილა. დაიბარა ბოქაული.

ეხლა კი ვერავითარმა გამჭირახობამ და ენა-წყლიანობამ ვერ უშველა ბოქაულს. საუკეთესო საბუთი ორ სართულიანი სახლი ნათლათა და აშკარად ღალატებდა ბოქაულის მექრთამეობას.

გუბერნატორმა უბრძანა ბოქაულს: დღესვე ქალადი შემოიტანე ოტსტაკვისა.

— ნება მიბოძეთ, მოვასენოთ.

— ხმა, კრინტი... დავრწმუნდი, რომ მართლა მექრთამე ყოფილხართ. ბოქაულმა მოახსენა:

— თქვენო აღმატებულებავ! ჩემი დათხოვნით აბა რა გამოვა? მოქრთამეობას კი ვერ მოსპობთ, პირ იქით უფრო გაახვიადებთ...

რაო? ეგ როგორ? ამიხსენით.

— ნება მიბოძეთ მოვასენოთ. მართალია მე ქრთამებით შეგროვილ ფულით ვაშენებ სახლსა, მაგრამ აბა ნახეთ — თითქმის გათავებულია შენობა, სახურავი და აკლია. ნება მიბოძეთ დავამთავრო და მეგრე ნება თქვენი აღსრულდეს... დამითხოვეთ სამსახურიდან. ფორემ ხომ მოგვსენებთ, ჩემი მოადგილეც მოისურვებს სახლის აშენებას და ეხლა იმან უნდა აიღოს ქრთამები. ბოროტება ძირში უნდა მოისპოს, საძირკველში. მე საძირკველი კი არა, თითქმის დავამთავრე შენობა, სახურავი და აკლია: ნება მიბოძეთ სამსახურში დავიჩე, სახლი დავამთავრო და პატიოსნებას გეფიცებით, შენობას რომ გავათავებ მაშინ ჯავაგირი და სახლის ქირების შემოსავალი მეყოფა და ქრთამებს აღარ ავიღებ. მეყოფა, რაც ავიღე.

უფროსს ისე მოეწონა ეს პასუხი, რომ ბოქაული სამსახურში დატოვა და მას შემდეგ მთელ გუბერნიაში ამ ბოქაულისთანა პატიოსანი, მართალი და სინიღისიერი ბოქაული მეორე არ მოიძებნებოდა, თითონაც დაანება თავი ქრთამებს და სხვასაც უშლიდა მოქრთამეობას.

ამბავი მეორე.

ეს ამბავიც ორმოცი წლის წინათ მოხდა. მეტად სამართლიანი, პატიოსანი, კეთილი და მოწყალე გუბერ-

ნატორი დილით გამოვიდა სახლის აივანზე, გადახედა ქუჩას და დაინახა მაზრის უფროსი, რომელიც დიდი ხანია მაზრაში უნდა ყოფილიყო. ძლიერ გაუკვირდა გუბერნატორს მაზრის უფროსის ქალაქში ყოფნა ნება დაურთველად და სასტიკმა გუბერნატორმა გადასწყვიტა — ლაზთიანად დაეტყუებინა გუბერნატორსაო. ამ ფიქრში რომ იყო, დაინახა ქუჩაში მაზრის უფროსის თანაშემწე. გაოცებული გუბერნატორი თვალებს იფშენებდა.

დალაზგროს ღმერთმა... ხედავ მავათ თავებდობას? მაზრაში ავაზაკები იქაურობას იკლებენ და უფროსი და მისი თანაშემწე აქ ბრძანდებიან.

დაიბარა ორთავე.

ეს რასა ვხედავ. ორთავენი აქა ბრძანდებით და მაზრას კი უეკველია ეხლა ავაზაკები იკლებენ...

მაზრის უფროსმა მოახსენა:

— რასა ბრძანებთ, ბატონო. როდესაც მე და ჩემი თანაშემწე ქალაქში ვახლავართ, მაზრაში ავაზაკებს რა უნდათ?!

გუბერნატორს ძლიერ მოეწონა ეს პასუხი

ეშმაკის ფეხი.



მესტვირული

ამ დილას შაშვემა დამძხა: ზამთარს ელევა სულიო, საცაა აბიზინდება კეკლუცი გაზაფხულიო.

დღესასწაულებიც დაგვიდგა,
დაუხტი მოკაზმულიო,
სტვირი აიღე, იმღერე,
დაიტკბე სული გულიო.

მადლობა უთხარ ჩიტუნას,
რომ მომაგონა სტვირია,
ავდექი, ხელში ავიღე,
გუდას დავადე პირია.

მაგრამ ზარს უფრო ვეწყობი,
ვიდრე ამ დროში მღერასა,
რა ძალ-მიძს არ თანაუგრძნო
საერთო გულის ძგერასა!..

თავისუფლებას ველოდით,
ნაცვლად მძვინვარებს ომია!
ვინც გაიმარჯვოს ნეტავი
ჩვენზედ რა წასადგომია?

ვინ ხელებს სტოვებს, ვინ ფეხებს,
ზოგნი მთლათ ჩაჰკლეს ბრძოლაში,
შიმშილით თითებს იჭამენ
მათი ცოლ შვილი ოჯახში.

აღვირ-წახსნილმა ვაჭრებმა
ხორცი დავგაბრეს ძვალზედა,
დრამა ფულისთვის ქალები
თმას იკრეპავენ თავზედა.

სოფლისა ნაძირალები
გვპარავენ ხარებს, ძროხებსა
ისედაც გაჰკირებულვებს
ვარესად წავგვაოქებსა.

ესთქვით მიაკვლიე მეყასებს
დაშამბული აქვს ტყავები,
მიმართე ვისაც ჯერა არს
და საქმეს მაგრათ შეები.

აქ დალალები გაჩნდება
ქირისა მოსაკლავები,
ფრიალობს ანაფორები,
გადის გამოადის ქრთამები.

პატრონს პანდური მოხვდება
ქურდები იცქიპებიან,
გარშემო ხალხი შეჰყურებს
თვის ტყავში იხრაკებიან.

ზოგ-ზოგი მასწავლებლები
სწავლას იგდებენ მასხრათა,
კარტი, ლოთობა გამხთარა
მათი სიცოცხლის სახსრათა!

ახალ-გაზრდებიც შეეტკბო
მოშხამულ ატმოსფერასა,
სულ ლაზღანდრობა, ხუნტრუცი,
სხვას კი ვერ ნახავ, ვერასა!

შრომისა ძენი სულს დაფევენ
ბობლავენ განარწყულია,



ოხ, მოვესწრები ნეტავი
მათ გაუმთელდეს წყლულია?

შეებისა დილა გათენდეს,
სიმართლედ დაჯდეს ტახტზედა,
აყვავდეს ძმობა-ერთობა
მშვიდობა ქვეყანაზედა?..

მაშვინ შეგვხედები აღდგომას
ზეიმითა და ღებნიითა,
თქვენც მოგილოცავთ კას დღეებს
მე კრიმანქულის ენითა,

გაზაფხულია ყველასთვის
გამქარებელი ქირისა,
მანამ ზარსა ჰგავს სიმღერა
ჩემი ქამანჩა-სტვირისა.

შხანკოლა.



ჩემი „ვიზიტები“.

(შემდეგი)

ის იყო, უნდა წავსულიყავი სავი-
ზიტოთ განზრახულ ალაგას, რომ
ბაზარში რალაც ხმაურობა მომესმა.
მივიხედე და შემდეგი სანახაობა ვი-
ხილე: ერთ დაბალ, ქალარა შერეულ,
ფრაკში გამოწყობილ ცილინდრო-

სანს, იღლიაში ამოეწყო გაზეთები
და ხალხს ძალათ აჩრიდა ხელში:

„იყიდეთ კარგი გაზეთი,
ახალ-ახალი „თემიო“,
შეიგნებთ, განვითარდებით,
მეზობლები ხართ ჩემიო.

მე კი მოღვაწე გახლავარ,
სხვა-გვარი, ახალ-მოდინსო,
თან გამყიდავი გაზეთის,
თანაც პატრონი „სოდინსო“!

თან მლაშე პატრიოტი ვარ,
თანაც ქართველი ჩარჩიო;
ნათრევი, ნაციმბირალი,
მრავალჯერ განაქაჩიო.

რა გინდა მე არ ვიკადრო,
ყოველთვის, ყოველ დროშიო!..
(იყიდეთ კარგი გაზეთი,
მოიღეთ ხუთი გროშიო!)“

დავაცქერდი ცილინდროსანს და
სწორედ გითხრა მეტად გამაკვირვა
მისმა მამაცობამ. ჩვეულებრივ გაზე-
თის გამყიდავს არა ჰგავდა, ხან მარ-
ცხნივ გაქანდებოდა, ხან მარჯვნივ.
მეც უკან მივყევი, ერთ სამიკიტრო-
ში შევიდა და მიკიტანს მიულოცა:

— ქრისტე აღსდგა! მეგობარო,
მიირთვით ახალი „თემი“.

— ქეშმარიტად! მაგრამ ჩვენ ეს
გაზეთი უკვე ვიყიდეთ, აი, მეორედ
გამყიდავიდან ავიღეთ, აჩვენა მიკი-
ტანმა.

— როგორ თუ იყიდეთ! მე მოე-

სულეარ შენთა, სულ ერთა, თუ გინდა გაზეთს ნუ აიღებთ, ოღონდ გროშები კი ჩამოღით.

ზრდილობიანმა მიკიტანმა აღარ გაჯიუტდა, შავი ფული ჩაუღო ხელში, ხალხი დაბალის ხმით ჩაილაპარაკა: მათხოვარი თუ ხარ, შე კაი კაცო, უნდა სხვანაირად მოიკაზმო! კაცი ბრინცსა გვეხარ და გროშებს თხოულობ?!.

ცილინდროსანმა ხმა არ გასცა, ვითომ არც კი გაუგონიაო, ჩემსკენ შემოტრიალდა და მე მომილოცა ქრისტეს სახელით „თემი“, (ალბათ იმ უბედურს ქრისტიანი ვეგონე) კი სამაგიეროთ ეშმაკეულის სახით „მათარხი“ უნდა მიმელოცებოდა.

მათარხის დანახვამ ცუდით იმოქმედა ცილინდროსანზე, პირი იბრუნა, უნდოდა ხიფათს აცდენოდა. მე კი ისე მაგრათ მივარტყი კუსუბოზე მათარხის წვერი, რომ ფრაკის უკანა კალთები სულ ჩამოვადგილე. ცილინდროსანმა დაუფარდა მაგრამ სიცილი მოუხდენია, გაზეთებიც იქვე დაჰყარა, დუშაზედ ხელი მოიჭირა და გაქცევა იკადრა. მე კი რომ უფრო შემეშინებია, უკან გამოუდგე მათარხით, დავეკვილე: ვერ წახვალ მეთქი და ერთი ლაყე კვერცხიც დავატკლიცე მოტვლებილ თავზე. მისმა ღრიალმა მთელი ბაზარი ფეხზე დააყენა, ვირთხასავით გარბოდა და თხოულობდა ქრისტიანებისაგან შეველას:

მიშველეთ ხალხნო, მიშველეთ, ვინა ხართ ქრისტიანიო! ეშმაკეულმა მათარხით ამიწვა ზურგის კანიო.


გვერდებზედ ტყავი ამაძრო, დამილილავა ტანო და ჩემი გოკრა ვაჰხადა საცემი, ბარაბანო!

პირობას მოგცემთ, ენდევით პატიოსნებას ჩემსო, რომ დღეის შემდეგ ბაზარში არ გამოვიტან „თემსაო“.

მხოლოდ ეხლა კი ნუ მომკლავს, აღდგომა გამითენოსო, შემდეგ თუნდ ჯოჯოხეთშიდაც მათარხით გამიღენოსო“.

ხალხი იცინოდა და გაიძახოდა — ახია მაგ გაიძვერაზედ მათარხის კუდიო. ბევრი იმასაც მთხოვდა ერთი ორი მათარხი კიდევ გადამეკრა მისთვის, მაგრამ საჭიროდ აღარ ვსცანი, რადგან ერთ თმა-ხუჭუჭა, მომცრო ტანის ყმაწვილს მოეკარი თვალი, ჯიბეები ვადმოებრუნებია, ტრამეის ღიანდაგზე დაწოლილიყო და გულამოსკენით სტროდა. დამინტერესა იმის მწუხარების გაგებამ, მაგრამ ვი იმისთანა ამბავს რაც იმას დამართნია და რასაც ჩვენი მკითხველები მომავალ კვირას გაიგებენ.

ეშმაკეული.



„ქაცხახიანცი“

(მეწვე საპოლიციო ნაწილში).

ტელეფონის ბოძზედა აცოცდა ჩვენი ქაცხა*) და დაბლა მაყურებელსა ქრისტე აღსდგაო დასძახა!

ბოძებზედ ასვლა კი ვიცი არა მჭირდება კიბეო, როგორც თავი გაბიათ ისეთიც გინდათ ჯიბეო.

მე თუ გიყი ვარ, თქვენ აბა როგორ ბრძანდებით ქუაზედ? რაც კი გველვისთ ჯიბეში სხვები იყოფენ შუაზედ.

და თუ მარგუნეს ცოტა მეც ღვინო არაყის ფასია, უნდა ვიგიყო მაშ რა ვქნა? ცხოვრება მეტათ თარსია.

პოლიციელიც მიცნობენ, ვბრძანდები ქაცხახიანი, იქნება გიყი გგონივართ? ვინა ხართ ჩემზე ქვევანი!

გიყი რომ ვიყო, მთავრობა განა გამიშვებს ვიარო?!

(* ჯიბეებიც ვსე უძახიან.

ერთის ნაოფლი ნაშრომი ორ სამ კაცს გაუზიარო?... აგერა თვალით მიყურებს უბნისა ზედამხედველი, თვით ბოქაულიც კი მიცნობს, ამასთან ქუჩის დამცველი.

იცინა ჩემი ცხოვრება, ამით ვმოულობლუქმასა, ყველამ იცინა და მისთვის არავინა მცემს მე ხმასა.

განჯიხ-კარელი



დაბა-სოფლები.

ს. სამხთო.

ჩვენი კუთხე გამოფხიზლდა, არის კოხტა სანახავი, სხვა სოფლებს არ ჩამოვრჩებით არ მოგიკვდეთ ჩვენი თავი. იმ ოთახში, სადაც წინად გაისმოდა: ხლუსტი, დავი, ბიბლიოთეკა გავსენით, მაგრამ არ გვაქვს საკითხავი!..

დილი შრომის მოყვარეა ჩვენი ინტელიგენცია, (ყოველ კუთხივ დაგაზენა შემოწირულების სია), მაგრამ ჯერე, მათ თხოვნაზედ ხმა არავის გაუცია!.. (ჩვენ ვიღვიძებთ, სხვებსა სძინავს? სალაური ნამუსია!)

უნდა ყველა დაგვეხმაროს წესია და სამართალი, თორემ ასეთ ამბის მომსწრემ საღლა გავაქყიროთ თვალი?!. ბიბლიოთეკა გავსენით, (წიგნი არ გვაქვს ერთი ცალი!) სახლის ქირას ტყვილათ ვიხდით (ვი ჩვენი ცოდვის ბრალი!).

წკიპარტი.

ხაე სოფლიდან.

(ზნაყის აენ-ჩაენი)

აქა სთქვეს ზოგიერთებმა:
 „აწ მოვსპოთ მარიოზაო,
 რას გვარგებს, ვალით და ვახშით
 ჩვენ სხვების გამოაორობაო.
 ამიერიდან ავკრძალოთ
 სტუმრობა-წვეულებოა,
 დე ისტორიას ჩაბარდეს
 ეს მანენ ჩეყულებოა.“

ესე ამბავი რა ესმათ
 ჯოჯოხეთისა ძაღებსა,
 (ტვირ ვალაყებულ რეგვენებსა,
 ქეჟუხედ განამწყრალებსა.
 შექმნეს ჟმსგავსო ღრიალი,
 სთქვეს: „ვინ გაბედა ესაო,
 ვინ გვიშლის სმას და ლოთობას
 ჩვენ მარიოზა დღესაო!..“

კრინტი არ დასძრათ, არა ქნათ
 თქვენ საქმე საძრახავიო;
 არ შეარცხვინოთ სოფელი,
 არ მოგვეკრათ ცოცხლად თავიო.

ჩვენ გვიყვარს სპა და ქეიფი,
 ზნუზი და კრივიც თანაო,
 როს ტრიადებენ ჰაერში
 კეტი, ხანჯლები, დანაო!..“

მინც გაღვიხდით დღეობას
 ამ ახლო მომავალშიო,
 თუ გინდ რომ საცხოვრებელიც
 სულმოთლად წავგვაროვან ვალშიო.
 ჩვენ ვზრუნავთ მარტო მუცლისთვის
 (მიტომაც გვთვლიან კაცადო)
 სხვისი ქეჟუ და გონება
 არ გვიღირს ჩაღის ფასადო.“

ქეყეყანა გლოკას მოუკავს
 ცას ბურავს შავი ნისლია,
 გაპარტახებულ მინდორ ველს
 უხვად რწყავს კაცთა სისხლია.

იქ ომი არის სასტიკი,
 ელავს ჰაერში ხმალია,
 თოფ-ზარბაზნები გრგვინავენ,
 გუზგუზებს ცეცხლის ლია.


სიკვდილი ლალათ ხარხარებს
 მოუღლესია ცელია,
 უთვალავ გმირთა გვაშებით
 ხავსეა ბრძოლის ველია.

ბევრსა ჩვენს მოძმეს შრომისგან
 ტანჯულსა განაწვალეგსა,
 მტრის ტყვიით გულ-მკერდ განგმი-
 რულს
 დღეს ყვავნი ჰკორტნის თვალეგსა.

აქ კი თქვენ ამ დროს გაჰყვირით:
 — „გავმართოთ ნადიმებიო,
 თუ გინდ, იქ ომში ერთიან
 ამოწყდნენ ჩვენი ძმებიო!..“

უკეთეს რჩევას არც ველით
 თქვენს სქელ გოგრებიდანაო,
 ნეტავ იმ სოფელს, რომელსაც
 ბლომად ჰყავს თქვენისთანაო.

კვახაძე.



„მეჩონგურე“ ქალი

უსენ ვაქარის ცოლი ვარ
 ფატმან-ხათუნე დაბაში,
 ეშპაკის არ მეშინია
 თვით ალ-ქაჯი ვარ კაბაში.

ქმარი გავსწირე, ნამუსიკ
 გავსცვალე ჩაჩნავირზედა,
 თითონ უსენიც მრავალჯერ
 მყავდა სამარის პირზედა.

შხამ-გესლიანი ენა მაქვს,
 გული — ზღვა ბორბტებისა,
 გრძნია-გონება დიაკის,
 თავსრაკი — ცული ხმებისა.

როცა ავთანდილ ვიხილე,
 მძებნელი დაჩეჯანისო,
 მას გაუგზავნე წინდაწინ
 მე გასაღები კარისო.

მივიღე, გაუმიჯნურდი,
 არ მოვარიღე პირისო,
 უსენი თუ კი გავსწირე
 მით უფრო ჩაჩნავირიო.

მარა ხიფათი მელოდა
 დამგმობელს ჩაჩნავირისო,
 რომ არ დავეგდე საქვეყნოდ
 სათრევედ ხალხის პირიო.

უთხარი, დღემდის ჩვენ შორის
 ტრფობა და სიყვარულიო,
 უნდა სხვა გვარად შევესცვალოდ
 დავიშორიხლოდ გულიო.

შვილს მოგვემ შენდა საცოლედ,
 მე გავიხდები დელათო,
 თუმც ბევრი სხვებოც უცდიან
 მიზრდია შენდა ბედათო.

მარა უსენ თუ გაიგებს
 მისგან გვეთქმება ვარიო,
 ქალმაც არ უნდა იცოდეს
 ისე დავსწეროთ ჯვარიო.

იშვიათ ტიპის სიღედრმა
 მოვხიბლე ჩაჩნავირიკო,
 დავიახლოვე მიზანიც,
 გავიადვილე ქირიკო.

ბოროტ აფთარმა გავსწირე
 მკორე წლოვანი ქალიო,
 შვილს მოვახვიე კისერზე
 ჩემი ცოდვა და ბრალიო.

საპაემანო საღამოს
 როგზე მოვაწყე ყოველი,
 შვილი ამხანაგს ვასტუმრე
 სეირნობაზე მთხოველიო.

ეტლით გავქედივ ორთავე
 წინად განზრახულ მხარესო,
 გზაში დამცქენი დაუხვიე
 ყაჩაღიც მოიხმარესო.

ხმაი შემდეგში დავარდა,
 რომ ქალი მოიტაცესო,
 ჯვარის დაწერაც მოასწრეს,
 ქრთამიც საქამო გასცქეო.

ხალხი აჯანყდა-ერთბამად,
 მაყრიდენ ქვას და ყორესო,
 ჩემმა ცბიერმა ცრემლებმა
 ვერავინ მოალოდრესო.

ცოლი წაარბევს ჩაჩნავირს
 ხალხის სიტყვით და ძალითო,
 სიძე ტყვედ, შვილი უქმაროდ,
 სულ დამწვევს ცეცხლის ალითო.

ავთანდილ, ამის მნახველმა
 მოქიშვემ ჩაჩნავირისო,
 უსენის პატ ვასაცემათ,
 შესამჩატებლად ქირისო,

ლალატით მოჰკლა ჩაჩნავირ,
 დაძინებული, მთვრალიო,
 თუმცა რაც მოხდა, ყველაფრის
 მარტო მე მადევს ბრალიო.

დასრულდა ესე ამბავი,
 ვითა ზიზმარი ღამისო,
 ზღაპრის ფატმანი ტიპია
 მე მომქმედი ვარ ამისო!

2 158
1915/3

ამას ჩონგურზე მღეროდა,
თან ეძლეოდა შვებასა.
მსჯავრის საღებად წარუდგენ
ეშმაკის შეუფებასა.

სულ ერთია.

წერილი რედაქციას

მატონო რედაქტორო! ნება მი-
ბოძეთ თქვენი პატივცემული ჟურ-
ნალის საშვალბით გამოვიწვიო სა-
მედიატორო სამართალში კორესპონ-
დენტი ბ. ს. ნი, რუმელიც ცილს
მწამებს ზედა მაღლაკის აფთიაქის პა-
ტრონს. დღიდან გამოცხადებისა ვა-
ძლევ ორი კვირის ვადას, რომ თვი-
თონაც დანიშნოს მედიატორე. ჩე-
მის მხრით მედიატორეთ ვნიშნავ ვარ-
ლამ ისიდორეს ძე ჟორჯოლარანს.
მტყუნამა მხარემ უნდა გადაიხადოს
ზედა-მაღლაკის უფასო სამკოთხველოს
სასარგებლოთ ხუთი მანეთი.


პატივის-ცემით

მიხეილ ლ. ნიჟარაძე.



ქველ-მოქმედნი

და
თებოც იქ
მორ



თფილისის ზოგ-ზოგ ქუჩაზე